ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3191100

ნომერი: AR1488784

თარიღი : 22.03.2017

გაცემის თარიღი : 12.04.2017

გაცნობის თარიღი : 12.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სიმონი ყრუაშვილი პ/ნ 35001040592
- ათონელის ქ. N29

ორგანიზაცია:
- შპს ამხანაგობა ჩვენი სახლი კოდი: 404991167

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 იანვრის №3028879 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 22 მარტს №AR1488784 განაცხადით მომართა სიმონი ყრუაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 3 იანვრის №3028879 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 3 იანვრის №3028879 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, დიდი დიღომი/ქალაქი თბილისი, შპს „ამხანაგობა ჩვენი სახლი “-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.72.14.038.890) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი B) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 3 იანვრიდან 2018 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით. წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში სარდაფის ფართობის ნაცვლად 217.3 კვ.მ-ისა , ავტოსადგომის ფართობის256.1 კვ.მ-ის დაფიქსირება, შესაბამისად საერთო ფართობად3979.6 კვ.მ-ის ნაცვლად, 4018.4 კვ.მ-ის დაფიქსირება. სამსახურმა სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლები შეესაბამება სამსახურის 2017 წლის 3 იანვრის №3028879 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და განმცხადების მოთხოვნა აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ: 1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 იანვრის №3028879 ბრძანებაში, კერძოდ, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: სარდაფის ფართობის ნაცვლად 217.3 კვ.მ-ისა, ავტოსადგომის ფართობი256.1 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად4018.4 კვ.მ . სამსახურის 2017 წლის 3 იანვრის №3028879 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი. 2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2017 წლის 3 იანვრის №3028879 ბრძანებასთან ერთად. 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში